ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №5378634

ნომერი: AR1786396

თარიღი : 24.11.2020

გაცემის თარიღი : 22.04.2021

გაცნობის თარიღი : 23.04.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაკის რაიონი , ნაკვეთი 01/119; ქალაქი თბილისი , ბაგების მიმდებარედ , წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით. , (ნაკვეთი N1/88);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნატალია გლინსკაია პ/ნ 01003010159
- ზ. საკანდელიძის ქ. #21, კ/ფ#1

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: #3015542
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 26.12.2016

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, სექტორი 15, სახლი #18

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნიკოლოზ ლეკვეიშვილი
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "თიმმ არქიტექტს"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404509171

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. ,,მეტრა დეველოპმენტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404982033
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნატალია გლინსკაია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01003010159

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 5869.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 327.3
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2649.6
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1016.4
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 481.6
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 402.1
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 64.7
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 258.7
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 426.1
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 7999.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 5129.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2869.8
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 31.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 22.7
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 8.6
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 327.3კვ.მ.; კ-1=327.3/5869=0.06=0.1; კ-1=0.1; 1247.2კვ.მ.; კ-1=327.3+503.4+416.5=1247.2/5869=0.2; კ-1=0.2
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1983.6კვ.მ.; კ-2=1983.6/5869=0.3; კ-2=0.3; 7557.0კვ.მ.; კ-2=1983.6+3085.2+2488.2=7557.0/5869=1.3; კ-2=1.3
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 600.0კვ.მ.; კ-3=600/5869=0.1; კ-3=0.1

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: #4765620
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 25.11.2019

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : #4765620
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 25.11.2019

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. წარმოდგენილი სატრანსპორტო სქემით დგინდება რომ ს/კ #01.14.08.001.142 ნაკვეთზე ხდება მშენებლობის პროცესში სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება, ასევე მუდმივი სქემების თანახმად მოწყობილია ქვაფენილი, ხოლო ზემოაღნიშნული ტერიტორიაზე ფიქსირდება ვალდებულება, კერძოდ კი- „მშენებლობის უფლების გარეშე“, სქემებზე ფიქსირდება „ქვეითისთვის განკუთვნილი ქვაფენილიანი გზა“. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა განახლდეს სატრანსპორტო სქემები და ამოღებულ იქნას „ქვეითისთვის განკუთვნილი ქვაფენილიანი გზა“.
2. .საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500.:-> საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმებულია იმ პირობით, რომ ტროტუარების ნაწილი, რომელიც მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში, დაიტვირთება საჯარო სერვიტუტით. გაითვალისწინეთ ზემოაღნიშნული და სერვიტუტი დაიტანეთ გენ-გეგმაზე.
3. წარმოსადგენია სრულყოფილი, დეტალურად მომზადებული “მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების” ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად გრაფიკული დოკუმენტაცია, ყველა ბინის (ტიპიური ბინების გამოკლებით) და დერეფნების ჩვენებით. წარმოსადგენია ბინების, დერეფნების, კიბის უჯრედების, თავშესაფრის ფართობების და სხვ. კვანძები ყველა საჭირო ზომის მითითებით. გაითვალისწინეთ, რომ დასკვნაში ვრცლად უნდა იქნეს აღწერილი ინფორმაცია “მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების” რეგლამენტით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნასთან დაკავშირებით შესაბამისი ქვეთავების მითითებით და გრაფიკული ნაწილითაც უნდა იქნას დადასტურებული.
4. საპროექტო ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე წარმოდგენილი იქნას დეტალური გეოლოგიური კვლევა და საექსპერტო შეფასება. იმ შემთხვევაში, თუ გეოლოგიური კვლევიდან გამომდინარე საჭირო გახდება ფერდის გამაგრების სამუშაოები, დამატებით წარმოდგენილი იქნას გამაგრების პროექტის კონსტრუქციული პროექტი და შესაბამისი საექსპერტო შეფასება და ასევე წარმოადგინეთ ექსპერტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემები (გაითვალისწინეთ, რომ ექსპერტს უნდა გააჩნდეს სპეციალობით მუშაობის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება).

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე.
აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2020 წლის 24 ნოემბრის AR1786396 განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.